წამოგლო. დიდის მუკუი, არ გაილვლებინ სხვაზედა..."

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
18
აპრილი
№ 46 (10439)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა
## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტია

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა

14 აპრილს გაიმართა საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა, რომელიც გახსნა მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე—საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ ილაპარაკა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა. მან თქვა, თუ რაოდენ საჭიროა ამ თანამდებობის დაუყოვნებლივ შემოღება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ამ ეტაპზე განსაკუთრებით საჭიროა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავდეს პრეზიდენტი, რომელსაც უდიდესი უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა ეკისრება ხალხის წინაშე სახელმწიფოს საქმის ვითარებისათვის.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეცურიანს, რომელმაც წარმოადგინა კანონპროექტი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ დეპუტატები აკაკი ბობოხიძე, აპოლონ სილაგაძე, მინდია სალუქვაძე, დავით ქუპრეიშვილი, ემზარ გოგუაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, თედო ნინიძე, ელდარ შენგელაია, აკაკი ასათიანი, ნოდარ ნათაძე, რამაზ სურმანიძე, ალექსანდრე ჭობულაშვილი, ლევან ალექსიძე, რომან გოცირიძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ბაკურ გულუა, გელა ჩორგოლაშვილი, თედო პაატაშვილი და სხვები.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის საკითხზე ილაპარაკა ბატონმა აკაკი ასათიანმა. „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" ბლოკში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების სახელით მან ამ თანამდებობაზე დაასახელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურები არ დაუსახელებიათ. ღია კენჭისყრით უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია ერთხმად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ავიდა ბატონი ზვიად გამსახურდია. მან მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, აღუთქვა დამსწრეთ, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების —სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ამის შემდეგ, კანონის თანახმად სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონპროექტი დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ტარიელ კუცულაშვილმა. წარმოდგენილი კანონის პროექტის თაობაზე შენიშვნებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები აკაკი ასათიანი, ირაკლი მელაშვილი, ბიმურზა აფრასიძე, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ჩირაქაძე, დეპუტატები ნუგზარ მოლოდინაშვილი, ლოვარდ ტუხაშვილი და სხვები.

უზენაესმა საბჭომ პირველი წაკითხვით მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის კანონი, რომლის თანახმად 1991 წლის 26 მაისს გაიმართება პრეზიდენტის პირველი საყოველთაო არჩევნები ფარული კენჭისყრით თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. მიღებულია დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მისი სახით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთელ ქართველ ხალხს მიესალმა უნგრეთის პარლამენტის წევრი ტომაშ ტირჩი.

სხდომის დამთავრების შემდეგ ქალაქ თბილისის პრეფექტმა ირაკლი ანდრიაძემ დეპუტატები, სასიაზე მყოფი სტუმრები მიიწვია შოთა რუსთაველის ძეგლისა და კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალის გახსნაზე.

**საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
# დადგენილება
### ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 აპრილი.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

უკანასკნელ ხანს იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ხალხებმა გააძლიერეს საპროტესტო პოლიტიკური საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს იმპერიული ცენტრალური ხელისუფლების გაუქმებას და სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობას. ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე სამაჩაბლოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ე. წ. ცენტრის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მრგვალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს გაფიცვები სატრანსპორტო საშუალებებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებებისა.

გამომდინარე იმ მოსაზრებიდან რომ აღნიშნულ საპროტესტო აქციებს აქვს ერთი მიზანი: საქართველოს სრული, ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, იმპერიული სტრუქტურებისადმი დაქვემდებარებისა და დიქტატისაგან მისი გათავისუფლება, რაც წარმოადგენს უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პროცესის უშუალო გაგრძელებას, ვადგენ:

1. სამინისტროებმა, უწყებებმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ყოველნაირად შეუწყონ ხელი მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საყოველთაო ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას.

2. თანამდებობის პირთაგან შეიქმნას საკონსულტაციო და საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც საგაფიცვო კომიტეტებთან ერთად სისტემურ ხასიათს მისცემენ დაუმორჩილებლობის მოძრაობას, რათა არ შეილახოს რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესები.

3. შეიქმნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაერთიანებული საბჭო, რომელიც უზენაესი საბჭოს პრესცენტრთან და პრეზიდენტის პრესის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს სწორი და შემოწმებული ინფორმაციის გავრცელებას და საზღვარგარეთ გადაცემას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

4. შეიქმნას საგანგებო საგაფიცვო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს გაფიცულთა ყოველგვარ დახმარებას და უზრუნველყოფას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია.

თბილისი: 1991 წლის 15 აპრილი.

# მხარს ვუჭერთ რესპუბლიკის ადაწყვეტილებას

შიდა ქართლში მიმდინარე პროცესები მთელმა რესპუბლიკამ ისე აღიქვა, როგორც სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა. ამის საპროტესტოდ „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, აგრეთვე სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტის გაფიცვა.

აღნიშნულ აქციას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის ორგანიზაციებმა, მთელმა მოსახლეობამ.

ცენტრის უხეში ჩარევის საწინააღმდეგო აქციაში აქტიურად ჩაერთო ზუგდიდის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივიც.

15 აპრილს აქ გამართულ მიტინგზე მშრომელებმა ერთსულოვნად გამოხატეს თავიანთი გულისწყრომა კრემლის პოლიტიკის მიმართ. ერთიურად გამოხატეს თავიანთი პოზიცია ქარხნის გაყუვანის მოთხოვნით, და ვიდრე სამაჩაბლოს საკითხი არ გადაწყდება, ისინი არ განაახლებენ მუშაობას.

როგორც ქარხნის მთავარმა ინჟინერმა თედო ჭავავამ გვითხრა, ქარხანაში მზადდება რამდენიმე სახის პროდუქცია, რომელიც მიეწოდება უშუალოდ რუსეთს. ასეთებია კონვეიერი აგრომრეწველობისათვის, სპეციალური დანიშნულების სხვადასხვა ჩარხები და სხვა.

ამჟამად მათი წარმოება და მიწოდება შეჩერებულია. ქარხანაში 350-მდე კაცი მუშაობს, მათი სახელით გაიგზავნა დეპეშები როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ასევე საბჭოთა კავშირის პრეზიდენტისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ქარხნის კოლექტივი მხარს უჭერს რესპუბლიკის მთავრობას და პროტესტის ნიშნად აცხადებს გაფიცვას უკანონო სამხრეთ ოსეთს ოლქიდან ჯარის გაყვანამდე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

## გზა განახლებისა და სულიერი ამაღლებისა

9 აპრილი ჩვენთვის, ქართველი ერისათვის ტკივილებისა და უდიდესი სიხარულის დღეც გამოდგა. თავისუფლებას მოწყურებული გოგო-ბიჭები დაგვიჩეხეს ამ დღეს, სისხლიანი ცრემლებით აგვატირეს. გავიდა ორი წელიწადი და დაგვიდგა სიხარულის ცრემლების დღეც, გამოწვეული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

რაოდენ სიმბოლური იყო, რომ თავისუფლებისათვის წამებულმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აუწყა სრულიად საქართველოს, მთელს მსოფლიოს ქართველი ერის ნაოცნებარი დამოუკიდებლობის დღის აღდგენა...

სიხარულს, აღტკინებას, ცრემლებს, ბედნიერებას ვერცერთი ქართული სიტყვა ვერ დაიტევს ალბათ.

ამ დღეებში ყველა ერთმანეთს ვულოცავთ, ვხარობთ და მინდა გამოვხატო მადლიერება იმ არაქართველი მოსახლეობის მიმართ, რომელიც ენგურქაღალდკომბინატში იღვწის. თითქმის ყველა ერთნაირად იყო გახარებული, ხოლო ის თითოოროლა ადამიანი რა სახსენებელია, რომელიც არც თავის ჭილაგს გამოადგება და არც რა თქმა უნდა, ქართველებს, რამდენიმე ადამიანის მიერ გამოთქმული აზრი კი ქაღალდზე გადმოვიტანე.

ვახტანგ ნანავა, წარმოების მთავარი ინჟინერი.

—ყველას განურჩევლად ეროვნებისა, ვისაც სჯერა და სწამს საქართველოს კეთილი მომავლის, ვულოცავ ამ ნანატრ დღეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ეს ფაქტი მხოლოდ ერთი ძნელადგავლილი ეტაპია. ახლა იწყება ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო პერიოდი, რომელსაც ეკონომიკური სიძლიერისათვის ბრძოლა ჰქვია.

# ნაოცნებარი დღე აღდგა...

ამას კი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენივე შრომითა და გარჯით თუ მივაღწევთ.

ეთერ ჭანტურია, ზოია ჯიქია, ნინო დუდუჩავა, ნონა ციციშვილი, ნანა დენისოვა, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილება:

—ახლა ჩვენი ოცნება, თავისუფალია საქართველო, თითქოს ხელმეორედ დავიბადეთ. ეს ბრძოლის დასაწყისია. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, რასაც დასჭირდება ჩვენი ცოდნისა და ენერგიის მობილიზება, რისთვისაც მზადა ვართ. გული გვწყდება, რომ ამ ბედნიერ დღეს ვერ მოესწრნენ, თავისუფლებას შეწირული გმირები.

დავით ჩარგაზია: რევიზორ-ბუღალტერი.

—სიხარულისაგან ვტიროდი: 81 წლის ოცნება ამისრულდა, მცირეწლოვანების წლებიც მივათვალე, იმიტომ რომ თავისუფლების მოპოვების სურვილი გენებით გადმოგვეცემა. მომავალშიც გაემარჯვებინოს ბატონ ზვიადს, მისი ბრძოლა სამართლიანია. ჩვენთან არის ღმერთი.

სვეტლანა ტივაზუკი—პეტრეველი: ფრანგული ენის სპეციალისტი:

—მთელი ჩემი ცხოვრება ჩემს ოჯახთან და მშობლებთან ერთად საქართველოს მიწაზე ვიცხოვრე. ქართველზე გავთხოვდი და კარგი ოჯახიც შევქმენით. ქართველებთან ერთად გამიყვია ჭირიცა და ლხინიც. მე მყავს უამრავი ქართველი მეგობარი, რომელთანაც მაქვს კეთილი ურთიერთობანი. იმედი მაქვს დამოუკიდებელი საქართველო კიდევ უფრო განვითარდება და აყვავდება, მის ნიჭიერ ხალხს გაიცნობს მთელი მსოფლიო.

მე არასოდეს დავიჯერებ იმას, რომ არაქართველები, რომლებსაც ექნებათ ქართული ორიენტაცია, მეგობრულად არ იქნებიან ქართველებთან. იმისიც მჯერა, რომ დემოკრატიული რუსეთი მხარში ამოუდგება საქართველოს კეთილ საქმეებში, ისინი აუცილებლად იპოვნიან საერთო ენას, ხოლო ვისაც მშვიდობა სურს დედამიწაზე, აუცილებლად ეცდება ურთიერთშეთანხმებას მიაღწიოს მსოფლიოს პროგრესულ, დემოკრატიულ ძალებთან. ამ იმედებით ვეგებები ხვალინდელ დღეს. კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩემს ქართველ ერს ნანატრ თავისუფლებას!

ნინა შუბინა: საქონელმცოდნე:

—მე ზუგდიდში დავიბადე, ჩემი მშობლები რამდენიმე ათეული წელი შრომობდნენ მექაღალდეთა კოლექტივში. ჩვენ ქართველებთან ერთად ვზეიმობთ თავისუფლებას. გვიყვარს ბატონი ზვიად გამსახურდია, რომელიც მუდამ ურთიერთპატივისცემისაკენ მოგვიწოდებს.

მე მჯერა ჩვენი კეთილი მომავლის საქართველოში.

რაფიელ ფარცვანია: გამდინარე წყლების გამწმენდი საამქროს მექანიკოსი:

—ეს დღე ქართველი კაცისათვის მოულოდნელი არ ყოფილა, ამას ჩვენ ყოველ წუთსა და ყოველ წამს ველოდით. ვულოცავ ჩემს სათაყვანებელ ქართველ ხალხს თავისუფლებას. დადგა ის დრო, სამშობლოს დავუმტკიცოთ ერთგულება და სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

რევაზ ქარდავა: ინჟინერ-ეკონომისტი:

—სიხარულის გაზიარება თურმე ყველაზე ძნელი ყოფილა. თავისუფლების დღე ყოფილიყოს ყოველი წარმატების საწყისი საქართველოსათვის. ჩვენი კოლექტივი მრავალეროვანია. მე ყველა არაქართველს მოვუწოდებ გაერთიანდნენ ქართველებთან, რადგანაც დღეისათვის სხვა სამშობლო მათ არ გააჩნიათ...

...სურვილებისა და მილოცვების მსურველი უამრავია, გასაგებია მათი. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს ჩემო ზუგდიდელებო, ღმერთმა ინებოს, მარადჟამს მშვიდობიანი ზეცა დაჰყურებდეს საქართველოს.

საუბარი ჩაიწერა
ლალი ჯოლოხავამ.

---

## ძალადობის პოლიტიკა განწირულია

ულრმესი მოწიწებითა და კრძალვით პატივი მიაგო ჩვენმა ხალხმა მიცვალებულთა სულის მოსახსენებელ წმინდა დღეს. აპრილის გლოვის დღეებმა ერთხელ კიდევ ნათელყო ის საოცარი შინაგანი, სულიერი რესურსები, რაც ქართველ ხალხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. რაოდენ სიმბოლური დამთხვევაა იმ ფაქტშიც, რომ ეს მომენტი დაემთხვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ყოველი ქართველი ლოცავს ამ საოცრად გამორჩეულ დღეს შინაგანი აღტკინებისა და ჟრუანტელის დღეს. ასეთ დროს ყოველი ჩვენგანის წინ სულ სხვა ნათელი ადგება მამულისათვის წამებულთა სახეებს, რომლებმაც ამ დღის მოახლოებისათვის თავისი წილი სისხლი გაიღეს. დღეს ისინი, ზეცის უკვდავი ბინადარნი ზემოდან დაგვცქერიან და აკურთხებენ იმ გზას, რომელსაც თავისუფალი საქართველო ამიერიდან დაადგა.

ახლა შევხედოთ რა ხდება სამაჩაბლოში. გამძვინვარებული ცენტრი კვლავ იარაღისაკენ იცქირება. მას სხვა არაფერი აღარ დარჩენია გარდა იმისა, რომ ისევ ნაცადი ძალისმიერი მეთოდებით, დაშინების პოლიტიკით გაიხანგრძლივოს სიცოცხლე. სამაჩაბლოში საკავშირო შინაგანი ჯარის ნაწილები თარეშობენ, არბევენ ქართველთა ოჯახებს, აპატიმრებენ ქართულ მილიციას, მზაკვრული გეგმები წინასწარ არის გათვლილი: მიზნად ისახავენ ქართველი ხალხის დაჩოქებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას. მაგრამ დროა გაიგონ იმპერიის მესვეურებმა, რომ ისტორიის ჩარხს უკან ვერა ძალა ვერ დააბრუნებს.

მ. გოგია,
პედაგოგი.

---

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა. ამის ბადალი პოლიტიკური აქცია ჩვენს მრავალნატანჯ ხალხს დიდი ხანია არ ახსოვს. ვუცქერდი თბილისში, თავის ხალხს.

# ამ რწმენით ვცოცხლობ

მთავრობის სახლის წინ თავშეყრილი ადამიანების აღტაცებულ ტალღას და თვალზე ცრემლმომდგარი გუნებაში ვფიქრობდი: მართლაც ქედუხრელი ჯიშისა და გენის ყოფილხარ შენ, ჩემო ხალხო, რამდენი ტკივილიანი, საშინელი, დამამცირებელი პერიოდები გახსოვს ისტორიულ გზაჯვარედინებზე. რამდენ ავბედით ქარ-ბორბალას არ გადაუვლია შენს თავზე, მაგრამ სულიერად არ დაცემულხარ, შენებისა და ბრძოლის ჟინი არ განელებია. ამიტომაც მოხვედი დღემდე, შენი ისტორიითა და ტრადიციებით, საკუთარი ღირსების გრძნობით, ეროვნული ცნობიერებით. ტოტალიტარული რეჟიმის სულისშემხუთავმა მარწუხებმა ვერ გატეხა ჩვენი ხალხი, ვერ ჩაკლა მასში თავისუფლების წყურვილი. სწორედ ამის გამოხატულება იყო 9 აპრილს გამართული საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელმაც [illegible] ეს ნანატრი დღე აჩუქა თავის ხალხს.

ვფიქრობ რა ჩვენს წინ დატრიალებულ უდიდეს ეროვნულ მოვლენაზე, ღრმად ვაცნობიერებ ერთსულოვნების აუცილებლობას, რაც შემდგომი ჩვენი ბრძოლის უძლიერეს იარაღად უნდა ვაქციოთ. სწორედ ამ ერთობამ გაგვამარჯვებინა ამა წლის 31 მარტს, როდესაც რეფერენდუმში „დიახ" შემოხაზა რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ. ქართველების გვერდით დადგნენ სომხები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, სხვა ეროვნების წარმომადგენლები. საბოლოოდ გაუწბილდა იმედები ცენტრს. საქართველოში იგი ალბათ ვარაუდობდა ინტერფრონტის საპროტესტო ტალღის აგორებას. მაგრამ როგორც ხალხი ამბობს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მოპოვებულია უდიდესი გამარჯვება. წინ, მართალია, მოულოდნელობებით აღსავსე გზა გვიდევს, მაგრამ ერთ მუშტად შეკრულ ხალხს ვერაფერი დაამარცხებს.

ამ რწმენით ვცოცხლობ, იმ იმედებით ვიზირები უფრო ნათელი ხვალინდელი დღისაკენ.

ვ. შენგელია.
პედაგოგი.

---

# ეს პროცესი შეუქცევადია

საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ გამოაცხადა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ აქტის გაფორმებით იურიდიული საფუძველი შექმნა ჩვენი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას სრული თვითგამორკვევისათვის. მთელი მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები რწმუნდებიან, რომ ქართველი ხალხის მიერ არჩეულ გზას არა აქვს ალტერნატივა, იგი მტკიცე და შეუქცევადია. ამ აქტის გამოცხადებით ერთხელ კიდევ დადასტურდა ის ჭეშმარიტება, რომ ქართველი ხალხი მდიდარია თავისი კულტურული ტრადიციებით, საინტერესოა თავისი ქრისტიანული მრავალსაუკუნოვანი მრწამსით, ძლიერია თავისი მორალური პრინციპებით. ყოველივე ამის შეგნება ნებისმიერ ჩემს თანამემამულეს ღირსების გრძნობით ავსებს. მაგრამ არც ის არის დასავიწყებელი, რომ შინაგან ზეაწეულ განწყობილებას ერთგვარი შეშფოთებისა და გაურკვევლობის განცდაც ახლავს. ამას ბადებს ცენტრის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც დღითიდღე შორდება ისტორიის დიალექტიკურ გაგებას, ობიექტურობისა და სამართლიანობის ლოგიკას, მართვის დემოკრატიულ პრინციპებს. მაგრამ ერთი რამ ყველამ უნდა შევიმეცნოთ: ერთა თვითგამორკვევის პროცესი სამართლიანი და კანონზომიერი მოვლენაა. უკვე შეუძლებელია მისი შეჩერება რეპრესიული მეთოდებით. რაც უფრო ადრე შეიგნებს ამას საკავშირო მთავრობა, მით უფრო ნაკლები ზიანი მიადგება ხალხს. ქვეყანას. რა დღეს, რა ხვალ ტოტალიტარული რეჟიმი წარსულს უნდა ჩაბარდეს.

ლ. ბერაია,
ფილოლოგი.

---

# ზეიმად იქცა...

ორი წლის წინ, ცხრა აპრილს, მთავრობის სასახლის წინ სამხედროებმა ხელბარებისა და მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენებით სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგის მონაწილენი და მოშიმშილენი. რუსეთის იმპერიამ ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი „ერთგულება" ქართველი ხალხისადმი. იყო მსხვერპლი. დღე —9 აპრილი გამოცხადდა ეროვნული გლოვის დ[illegible] ორი წლის თავზე საქართველ[illegible] უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომამ კი ეს თარიღი ზეიმის დღედ აქცია. გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დარბაზში არ სცხრებოდა ტაში, იყო აღტაცება, რამაც მოიცვა სრულიად საქართველო.

საქართველო და მისი შვილები მოწიწებით უსმენდნენ ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დედის ლოცვას.

მერაბ არის დღეს ვისი შვილი სამშობლოს შეეწირა., ქალბატონი ოლღა დემურია—კოსტავასი იდგა მიკროფონთან თმადათოვლილი და კიდით-კიდემდე გაისმოდა მისი ვედრება—შეერთდით შვილებო! საქართველოს მხოლოდ მაშინ ეშველება.

სრულ თავისუფლებამდე კვლავ დიდი გზაა, მაგრამ ყველა ჩვენგანმა უნდა გაიაროს ეს ეკლიანი ბილიკები. ტაძარი ახლოა.

ზუგდიდელები ვუერთდებით ამ დიდ ზეიმს და ფიცს ვდებთ, ვიშრომოთ უკეთ, [illegible] უკეთ და ვთქვათ ჩვენი სიტყვა. რამეთუ დამოუკიდებელ საქართველოსათვის აუცილებელია დამოუკიდებელი ეკონომიკა.

ნაზო ფირანიშვილი,
ხეცერის მეურნეობის ეკონომისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფიქრები ხმამაღლა**

# ფუფუნება ურთიერთშენდობაში ექმე

საქართველო განვითარების თვისობრივად ახალ გზაზე გავიდა. ეს ნიშნავს უპირველეს ყოვლისა ადამიანთა ზნეობრივი სახის სრულყოფის, ათეულ წლობით მივიწყებული და დაკნინებული ღირებულებების აღდგენის, ეროვნული ტრადიციების ამში ახლებური მიდგომის პროცესს. ეკონომიკასა და პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებების მოხდენა შეუძლებელია, თუ ქვაკუთხედად, ამოსავალ პუნქტად ყოველივე ამას არ დაედო პიროვნების ღირებულებრივი ორიენტირები, რომლის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ: ცოდნა, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტორი. და უმთავრესი რამ, დედა-ძარღვი მუშაკის მობილურობისა—ორგანიზატორული ფხა. ყოფის განახლება თავისთავად ითხოვს ადამიანური კონტაქტების დახვეწას, კულტურისა და შეგნების საწყისის განმტკიცებას პიროვნებაში. ახლა, როცა ერთმანეთში ახე ულვთოდ აირია იმედი და უიმედობა, ერთგულება და ღალატი, სიყვარული და მძულვარება, საჭიროა ერთმანეთთან სიახლოვის, ურთიერთმიტევების, გაგების გზების უცილო გამონახვა. თავისუფლებისათვის ბრძოლის ამ ტკივილიან მარათონში ქრისტესმიერმა სიყვარულმა და თანალმობამ, ერთიანობის განცდამ უნდა შევვმატოს სასიცოცხლო ძალები. პიროვნების თვითგანახლების ფენომენსაც სულ სხვანაირი აღქმა უნდა. უნდა დაიძლიოს ძველი სტერეოტიპი, როცა მოქალაქის პირად მისწრაფებასა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის რაღაც ანტაგონისტურ წინააღმდეგობას ეძებდნენ. ყველამ უნდა გავითავისოთ უცილობელი მამაპაპური ჭეშმარიტება, რომ ადამიანის პირადი „მე" და საერთო, საქვეყნო ინტერესი ერთმანეთთან მოქიშპე, შეურიგებელი ძალები როდია. ისინი დიალექტიკურად ავსებენ ერთურთს და ხელს უწყობენ ცხოვრების წინსვლას. ყოველმა ჩვენგანმა ღრმად უნდა გაითავისოს სამშობლოს, ეროვნული თვითდამკვიდრების მნიშვნელობა და ყოველნაირად უნდა ეცადოს ამ პროცესის დაჩქარებას.

ქართველი კაცის ცნობიერება ოდითგანვე შინაგანად მართული იყო მამულიშვილური სულისკვეთებით, ღრმა პატრიოტული შეგნებით. სასიამოვნოა, რომ საშინელი ტოტალიტარული რეჟიმის წნეხმა ვერ ჩაკლა ჩვენებურ კაცში ეს გენი და მან ახალი ძალით ამოხეთქა დღევანდელ ვითარებაში. ყველანი ვართ მოწმე იმისა, რომ ხალხის ძირითადი მასა სწორ, ადეკვატურ რეაგირებას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული ტენდენციებისადმი. დესტრუქციული ძალები თანდათან რწმუნდებიან თავიანთი ქმედების უნიადაგობაში. თვით დრო, ჩვენი მღელვარე მოვლენები ნათელყოფენ, რომ ქართველ კაცში, როგორც ბიოსოციალურ ფენომენში მიმდინარეობს საოცრად შინაარსიანი და მშვენიერი სულიერი პროცესები. და ამ პროცესს აქვს დემოკრატიული პრინციპებისა და ჩვევების უნიხონში საკუთარი ცხოვრების აგება, მოძრაობა თვითგანახლებისაკენ, თვითსრულყოფისაკენ.

გრძელი და მომქანცველი გზა უდევს წინ ჩვენს ხალხს. იგი არ არის იოლი. ბევრი ქაცვისა და ეკალ-ბარდის გაკაფვა მოგვიწევს ბიუროკრატიული სისტემის მიერ იავარქმნილ ყოფაში. და ასეთ დროს, ყოველმა ჩვენგანმა, რა სფეროშიც არ უნდა უხდებოდეს გარჯა, სულიერი და ფიზიკური ძალების მაქსიმუმი უნდა გაიღოს მამულის ასაღორძინებლად. საქმე გასაკეთებელია სუფთა ხელებით და დამჯდარი ჭკუით. სამართლიანობისა და ობიექტურობის დაცვით. ობივატელური შეზღუდულობისა და ცინიზმის მსახვრალი ხელი უნდა ავარიდოთ ისეთ სათუთ ფენომენს, როგორიცაა რწმენა. იგი ადამიანებს ისევე სჭირდებათ, როგორც თევზს წყალი. საჭიროა დღევანდელი პოლიტიკის, დღევანდელი ამოცანების გულწრფელად მიტანა ხალხთან. დღეს, როგორც არასდროს, მშრომელებთან დიალოგი გამორიცხავს რაღაც მოხერხებული ნილბის მორგებას, კონიუნქტურულ კეკლუცობას. გენიალურ დოსტოევსკის ეკუთვნის თქმა: „სიტყვებს ისეთივე გულისხმიერებით უნდა ეკიდებოდე, როგორც ადამიანებს. გულით შერჩეული, ნაპერწკლიანი სიტყვა სიხარულს ანიჭებს ადამიანებსო".

მოვიდა სხვა დრო. აწყამინდელ ჩვენს საზრუნავს ხორცი უნდა შეასხან გაწედულმა, ახლებურად მოაზროვნე, კომპეტენტურმა პიროვნებებმა. უპირველესად კი მაინც მამულიშვილური გზნებით და ერთგულებით გამორჩეულებმა. უგულო და უნიათო, ფარისეველი და მოხვეჭის ფსიქოზით შეპყრობილი პირების დრო წავიდა.

დგება ჟამი იმათი წარმოჩენისა, ვინც ფლობს უდიდეს ღირებულებას: ადამიანებთან სწორი დამოკიდებულების, მათი დარაზმვის შესაშურ უნარს.

ზ. ცხონდია.

# მიზანი: კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება

გასული წლის დეკემბერს კოლხიდის ტერიტორიაზე დაიწყო ზუგდიდის ჩაის №1 ფაბრიკის მიკრო-ფაბრიკის მშენებლობა. კოლექტივი ამთავითვე ემზადება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის, რითაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის განმტკიცებაში.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა მშენებარე მიკრო-ფაბრიკის დირექტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ბატონ ზაურ დარასელიას და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე:

—რამ განაპირობა კონკურენტუნარიანი ჩაის პროდუქციის წარმოებაზე ზრუნვა და რა გზები არსებობს ამის მისაღწევად?

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის განმტკიცებისათვის ბრძოლამ დღის წესრიგში დააყენა ამოცანა ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. მიმდინარე ეტაპზე ფაბრიკის კოლექტივმაც უნდა აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელიც კონკურენციას გაუწევს საზღვარგარეთის ქვეყნების ნაწარმს.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფაბრიკების სიმძლავრე ტექნოლოგიური ნორმით იყოს ოპტიმალური, აქვე უნდა ითქვას ჩაის კულტურის მოვლაზეც. ხარისხისათვის ზრუნვა პლანტაციებიდანვე იწყება, ამიტომ საჭიროა მას ფაბრიკა უწევდეს მეთვალყურეობას. ახლახან სწორედ ამ მიზნით დაისვა საკითხი პრეფექტურის წინაშე მიკრო-ფაბრიკაზე კოლმეურნეობის ჩაის რამდენიმე ჰექტარის იჯარული წესით გადაცემის თაობაზე.

—ვისი სახსრებითა და დახმარებით შენდება მიკრო-ფაბრიკა?

—ფაბრიკის მშენებლობას აფინანსებს ზუგდიდის ჩაის №1 ფაბრიკა (დირექტორი მ. გოგოხია). მშენებლობას კი აწარმოებს ზუგდიდის №12 ტრესტის №133 მოძრავ-მექანიზებული კოლონის (უფროსი ე. ფაცაცია) კოლექტივი. მშენებლობაში ფინანსური დახმარება გაგვიწიეს ზედაეწერისა და ხეცერის ჩაის მეურნეობებმა და ჩაის კომბინატმა „ოდიშმა" (დირექტორები ე. ნემსაძე, ვ. კვარაცხელია, ლ. ჯიქია).

მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ კოლხიდელები ბ. ქადარია, დავერ, ტარიელ დათო, კახა დარასელიები კახაპანია და სხვები.

**როგორია მიმდინარე სამუშაოების ტემპი?**

ძალზე ჩქარი ტემპით დაიწყო და მიმდინარეობს მშენებლობა. კოლექტივს, მის თითოეულ წევრს უნდა ვადამდე დამთავრდეს ყველა სამუშაო.

—როდის უნდა გამოუშვას ფაბრიკამ პირველი პროდუქცია?

—მიკროფაბრიკა ექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის მაისში და ამავე თვეში იგი მომხმარებელს ზუგდიდური მარკით მიაწოდებს ჩაის კონკურენტუნარიან პირველ პროდუქციას.

საუბარი ჩაიწერა მ. ახალაძემ.

# სკოლა ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის სამსახურში

უსაზღვროა რუხის საშუალო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენით გამოწვეული სიხარულის განცდა. ყველაფერს ამას აორკეცებს იმის ღრმა შეგნება, რომ ჩვენ სახალხო განათლების მუშაკებს გვეძლევა ფართო შესაძლებლობა ჩამოვაყალიბოთ ყოველმხრივ განათლებული და მაღალი მორალური თვისებების მქონე ახალგაზრდობა, რისთვისაც საჭიროა სკოლა გავიაზროთ როგორც შინაარსობრივად მრავალმხრივი ფუნქციების მქონე ორგანიზმი, სწავლებისა და აღზრდის შინაარსი გადავიყვანოთ ინტენსიფიკაციის გზაზე.

სკოლის ცხოვრებაში ღრმად გაიდგა ფესვები დემოკრატიზაციამ, ჰუმანიზაციამ, უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნამ და დიფერენცირებულმა სწავლებამ.

მოსწავლის პირადი მიზნების, მოთხოვნილების, ნიჭისა და უნარის გამოვლენისა და განვითარებისათვის, მათი თვითგამორკვევისათვის, რუხის სკოლაში მიმდინარეობს ღრმად გააზრებული საქმიანობა სწავლებაში შემოქმედებითი მიდგომის პრინციპის განხორციელებისათვის, რაც მიზნად ისახავს არამარტო ცოდნის ათვისებას, არამედ ხთავისების ზერხების, აზროვნებისა და საქმიანობის ნიმუშების დაუფლებას, ბავშვის შემოქმედებითი ძალების განვითარებას, რადგან მოზღვავებული ინფორმაცია პრესის, რადიოს, ტელევიზიის და კინოს სახით კონკურენციას უწევს სკოლას. ამასთან სამეცნიერო ტექნიკურმა რევოლუციამ დიდი კვალი დაამჩნია ადამიანის ფსიქიკას, გააფართოვა ინტელექტუალური სფერო, ემოციების გალარიბების ხარჯზე. ტექნოკრატიულმა ტენდენციებმა დღის წესრიგში დააყენა როგორც სასწავლო პროცესის, ასევე აღზრდის ამოცანების ახლებურად გააზრება, მოსწავლეთა აღზრდა, ჰუმანიტარულ ტენდენციებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მოსწავლეთა ჩაბმას მასობრივ ღონისძიებებში. ამა თუ იმ ღონისძიების შესრულებისათვის მივმართავთ მიზნების გაცნობიერებას მისაწვდომ ფორმაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეებს თავს მოვახვიოთ ჩვენი საკუთარი მოსაზრებანი.

ვცდილობთ ესა თუ ის ღონისძიება დაიგეგმოს ბავშვების ინიციატივით. ვადგენთ გეგმას და ვანაწილებთ სამუშაოს, სადაც გამოვდივართ მრჩევლის როლში. კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობის აღზრდისათვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კონტროლს, შეფასების უნარის გამომუშავებას. მივმართავთ ბავშვების ჯგუფის წახალისებას რათა მათ კოლექტივის აქტიურ წევრებად იგრძნონ თავი.

ამასწინათ მეცხრე (ბ) კლასის მოსწავლეთა ინიციატივით სკოლაში ფუნქციონირება დაიწყო გაზეთმა „სინათლემ", რომელიც ეხება სკოლის ცხოვრების ყველა სფეროს. ამ ინიციატივას მხარი აუბა და აქტიურად თანამშრომლობს მათთან ახალგაზრდა პედაგოგი ი. ხურცილავა. გაზეთის გამოშვებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კლასის ყველა მოსწავლე. მათთვის საინტერესო საკითხებზე ისინი ინფორმაციას იღებენ პედაგოგებისაგან. 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან დაკავშირებით გამოიცა სპეციალური ნომერი მაღალ აკადემიურ დონეზე.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი აქტის ისტორიულ აუცილებლობაზე და აქედან გამომდინარე სკოლის სამომავლო ამოცანებზე ბავშვებმა ინტერვიუ აიღეს სკოლის დირექტორისაგან ვ. გვაზავასაგან, რომელმაც გააცნობიერა მათი წარმოდგენა საინტერესო აქტუალურ საკითხებზე.

ამრიგად რუხის საშუალო სკოლაში მიმდინარეობს მრავალმხრივი საქმიანობა მოსწავლეთა გონებრივი, ზნეობრივ-ესთეტიკური, პატრიოტული, რელიგიური, შრომითი და ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, რათა საქართველოს აღვუზარდოთ ყოველმხრივ განათლებული, მაღალი მორალური თვისებების მქონე ერთგული თაობა.

რ. ზუხბაია,
რუხის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

# ვ. ე. კვარაცხელია

ჯანმრთელობის დარგის მუშაკებს გამოაკლდა ზუგდიდის ვენდისპანსერის წამყვანი სპეციალისტი, სეროლოგიური ლაბორატორიის გამგე, ექიმი ვენერა ივანეს ასული კვარაცხელია.

იგი დაიბადა ქალაქ ზუგდიდში 1921 წელს. სწავლობდა თბილისის მეორე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ შედის და ამთავრებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ჯიხაშკარის საექიმო უბნის/ გამგედ, 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქალაქის ვენდისპანსერში. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ექიმთა საზოგადოებას გამოაკლდა უფროსი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა კოლეგებში, მეგობრებში, პაციენტებში.

ხსოვნა დიდებული ექიმისა და პიროვნებისა იცოცხლებს დიდხანს.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. შანტურია.

# კოოპერატიული ავტოსკოლა „მესამე"
# გთავაზობთ

კოოპერატიული ავტოსკოლა „მესამე" იღებს მსურველებს, რომელთაც სურთ დაეუფლონ მსუბუქი ავტომანქანის მართვას. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც დღის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა.

პრაქტიკული სწავლა მოეწყობა მსმენელთათვის სასურველ დროს, ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები მსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფსიქო"), და სამი ცალი სურათი 3X4.

საბუთები მიიღება 10 საათიდან 13 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა ყოველ დღეს.

სწავლის ქირის გადახდა შეიძლება, როგორც ნაღდ ანგარიშზე ასევე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2, პოლიტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი 64.

ავტოსკოლა „მესამე".

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა, ს ი ა ხ ლ ე ა!

გაიხსნა ირიდოდიაგნოსტიკის კაბინეტი

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ექიმ ნევროპათოლოგ-ირიდიტოპო-დიაგნოსტიკს, რომელიც სპეციალური აპარატის საშუალებით აწარმოებს გამოკვლევას, რათა სიზუსტით დაისვას დიაგნოზი, აგრეთვე აღმოაჩინოს ორგანიზმებში მოსალოდნელი სხვადასხვა დაავადებანი, (პათოლოგიების განვითარება) გენეტიკური თავისებურებანი და გადატანილი დაავადებანი.

მიღება ხდება ყოველდღე კვირის გარდა 15 საათიდან 19 საათამდე.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. №117, (ყოფილი ოქტომბრის ქუჩა).

## ავტომოყვარულთა საყურადღებოდ!

ბოლო დროს განსაკუთრებით იმატა ავტომანქანების გატაცებამ, რაც დიდად აშფოთებს საზოგადოებას. თუ გინდათ თავიდან აიცილოთ ეს უსიამოვნება, მიმართეთ კოოპერატივ „ელექტრონიკას", რომელიც მდებარეობს სოფელ დარჩელში, რუსთაველის ქ. №14-ში. აქ თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაგიყენებთ სიგნალიზაციის. თქვენი ავტომანქანა დაზღვეული იქნება გატაცებისაგან.

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმეტოლოგი ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი (კიევიდან) 1 სექტემბრამდე პაციენტებს ღებულობს შემდეგი მისამართით: პლეხანოვის ქუჩა №24. ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 1 საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა! „ტიპო" თუმნად!

სპორტულ ლატარიაში თამაშდება 2 (ორი) ცალი იტალიური წარმოების მსუბუქი ავტომანქანა „ფ ი ა ტ ი — ტ ი პ ო". თითოეულის ფასი 350000 მანეთი (სამასორმოცდაათი ათასი). ასევე გათამაშებაშია 1 ცალი იაპონური წარმოების ტელევიზორი „სანიო"—ფასი 15000 მანეთი, 1 ცალი იაპონური წარმოების ვიდეომაგნიტოფონი—ფასი 10000 მანეთი, 2 ცალი ველოსიპედი „დესნა" ფასი —160 მანეთი.

20 აპრილს გეპატიჟებათ ხობის „კოლხეთის" სტადიონი, სადაც საქართველოს მეორე ეროვნულ ჩემპიონატში ერთმანეთს ხვდებიან უმაღლესი ჯგუფის გუნდები: ხობის „კოლხეთი" და თბილისის „შევარდენი 1906". მატჩის დასაწყისი 15 საათზე.

შენიშვნა: გაყიდვაშია 100000 (ასი ათასი) ცალი ლატარიის ბილეთი, ბილეთის ნომრებია 1-დან 100-მდე. ერთი ლატარიის ბილეთი ღირს 10 (ათი მანეთი), შესასვლელი ბილეთი ერთი მანეთი. ერთ შესასვლელ ბილეთზე სურვილისამებრ 10 ცალამდე ლატარიის ბილეთი გაიყიდება.

მოგებული ბილეთის მფლობელი ვალდებულია მომგებიან ბილეთთან ერთად ტირაჟის დამთავრებიდან 10 წუთის განმავლობაში გამოცხადდეს გამთამაშებელ კომისიასთან ფეხბურთის გულშემატკივრების თანდასწრებით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება აღნიშნული ბილეთის ხელახალი გადათამაშება, მოგებული პიროვნების გამოვლენამდე, მთლიანად გამთამაშებელი კომისიის მუშაობის ჩაწერა მოხდება ვიდეო-კამერით.

ხობის „კოლხეთის" სტადიონზე ბილეთები იყიდება 11 აპრილიდან, მეზობელი რაიონის სტადიონის სალაროებში 14 აპრილიდან.

ხობის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი".

dedication

ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი

## 20 აპრილი, 1991 წელი.

საქართველოს ეროვნული საგაზაფხულო ჩემპიონატი. (უმაღლესი ჯგუფი). „ოდიში" (ზუგდიდი) „მარგვეთი" ((ზესტაფონი).

დასაწყისი 17 საათზე.

გათამაშდება ერთგულების ლატარია.

ლატარიის ბილეთები და შესასვლელი ბილეთები გაიყიდება ცენტრალური სტადიონის სალაროებში 19-20 აპრილს დილის 10 საათიდან.

მყიდი ორსართულიან სახლს ქ. ზუგდიდში დავით აღმაშენებლის ქუჩა №91. პირობების გაგება შეგიძლიათ ამავე მისამართზე.

ინგირის სასწავლო-საწარმოო კომბინატის კოლექტივი თანაუგრძნობს გია ჯაბუას მამის გურამი ერასტოს ძე ჯაბუას გარდაცვალების გამო.

დედა ნანული, მეუღლე ლიანა, შვილები: დათო. ბადრი. ძმა თეიმური. რძალი თამრიკო, ბაბუა ბოდღო თორია. ბებია რაისა, სიმამრი კოტე ჯანაშია, მამიდა ინელა, დეიდა ციალა, ბიძები: იპოლიტე, ალიოშა გაბისონიები, კაკო თორია, კონო მიქავა, ცოლისდა ხათუნა, მაზიდაშვილები: როზა, გენო. ბორისი მიქავები, დეიდაშვილები: ნინო, ნანა, ანა, თენგიზი ტაბაღუები, ბიძაშვილი კაკო თორია, სიძეები ჯემალ როგავა. ფელიქსი ანჯაფარიძე, რომან ხასაია, ჯამბულ თოდუა, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ბადრი ანზორის ძე ოყუჯავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19. 20 აპრილს. დაკრძალვა 21 აპრილს. გამოსვენება 18 საათზე ბორჯომის ქ. 7-დან.

და სოლდენა, სიძე ალიკო ხუფენია, დისშვილები ნინო, ჯონი, ბესიკი, რძალი ნინო კვარაცხელია, სიძე ემირ ჯლამაია ოჯახებით იუწყებიან
**კორნელი ვარლამის ძე ფიფიას**
გარდაცვალებას.

სიდედრი სულიკო ქირია, ცოლისდები ლონდა, ლორიტა, მიმოზა, ნანა, ცოლისძმა გონერი თორდიები, სიძეები გურამი უბილავა, ტოლიკო ბერაძე, გია შონია ოჯახებით იუწყებიან
**კორნელი ვარლამის ძე ფიფიას**
გარდაცვალებას.

შვილები. ღუდა, ზაური. ანზორი. დუნია. ვარო. ვარდიშა. ძმა კიკულა მაქაცარია, და ოლია ხარებავა, რძლები ნონა. მზია, თინა, ლია. სიძეები ინდიკო ჯოლოგუა, ბონდო ჯღარკავა, ნოდარ ბუკია, შვილიშვილები: ნანული, კობა, ნათია. ინგა. ირმა, თანდილა. პაპუნა. გიორგი. გულნარა. ზურაბი. ნატო. სვეტა. ემირი. ლიანა, ლელა. მედიკო, მანანა, გიზერი, სლავიანა, ძმისშვილები: თინა. რევაზი. ნუნუ, აზა მაქაცარიები. დისშვილები: კოკი, ალიოშა ხარებავები. აველინა, ლუნა. ბურდი როგავები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**ზინა ლევანის ასულ მაქაცარია-ჯიქიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 აპრილს. დაკრძალვა 21 აპრილს ზუგდიდში, გამოსვენება პარიზის ქ. 44.

დედა პაშა, მამა ვარლამი, მეუღლე მზია თორდია, შვილი ოთარი, და სოლდენა, ძმა გია, სიძე ალიკო ხუფენია, სიდედრი სულიკო ქირია, რძალი ლონდა ქირია, მამიდა, დეიდები, ბიძები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**კორნელი ვარლამის ძე ფიფიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 აპრილს. დაკრძალვა 23 აპრილს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ბორჯომის 1-ლი შესახვევი 5-დან.

შვლები: თინა, გოგოლა, ვაჟა, რანო, რძლები: ლამარა მაღლაკელიძე, ჯული თორდია, ლილი ფაცაცია. შვილიშვილები: სვეტა გოგოხია, ეკა, როზა, ნიკო, მარინა, ინგა; მაკა ჯალაღონიები, დათო, იზა შონიები, სიძეები ლეონი შონია, ვალერი ვეკუა, ვალერი ზარქუა, არკადი დიხამინჯია, ზური ჭითანავა, სოსო კვარაცხელია, მაზუკა კაცია. ძმისშვილები: მიშა, რადიონი, რეზო, ჟილიეტა, აველინა, ნიურა, ალიდა, ციური, ლამარა, ლონდა ფაცაციები, მული ზინა ჯალაღონია, მაზლიშვილები: ნანული, ინდიკო, ლამარა, რეზო, ბონდო ჯალაღონიები, ტიტიკო, როდიკო გბელიები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ჟენია (ელპინე) თედოს ასულ ფაცაცია-ჯალაღონია.**
პანაშვიდი 18, 19, 20 აპრილს. დაკრძალვა 21 აპრილს ს. ზედაეწერში.

შინაგან საქმეთა ზუგდიდის დაცვის განყოფილების კოლექტივი იუწყება ამავე განყოფილების მილიციელის
**გოგლა გივის ძე აბსავას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის ვაჭრობისა და საზ. კვების სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან
**ბონდო ჩაქვას ძე ხასიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ახალკახათის 1985 წლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები იუწყებიან
**გოგლა გივის ძე აბსავას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა ქრისტინა, მეუღლე მარინა, შვილები: ლევანი ეკა, და გულნარა, ძმა ტარიელი. სიძე ბოჩია ჩარკვიანი, დისშვილები: მალხაზი, დათო ჩარკვიანები, ძმისშვილები: ლუიზა, ავთანდილი, რევაზი, რძალი დოდო კაკულია, დეიდები: თამარი. ქსენია, ბაბუცა. ლუშა, ბროლიცა, მამიდა ოლღა, სიდედრი ნათელა, სიმამრი ალიოშა ბერაია, ცოლისდები: დალი, ნაირა, ცოლისძმა მერაბი, ქვისლები თამაზ წურწუმია, გივი სიჭინავა, ბიძები: შალვა ხარებავა, ჟორჟი ბალათურია, ინდიკო უზარაშვილი, მამიდაშვილები: მირდი ქანთარია. ნანული. ლამზირა. ვახტანგი, ნუგზარი ბულიები, კლარა, ფლორა. კორნელი, იურა, იაროსლავი, თამაზი ჩერქეზიები, ბიძაშვილები: ვალიკო, ბუხუტი. ემდემი, ციალა, ლიანა, ლუარა ქვარცხავები, დეიდაშვილები: ახლო ნათესაიები იუწყებიან
**ჟორა (თავარი) ანტონის ძე ქვარცხავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18. 19. 20 აპრილს. დაკრძალვა 21 აპრილს. გამოსვენება 18 საათზე, ბორჯომის ქ. 12.

და ტატიანა, რძალი ვალია აბრალავა, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან
**კოლია ყამურზას ძე კვარაცხელიას**
გარდაცვალებას. გამოსვენება ქ. თბილისი, თემქას დასახლება, მესამე კვარტალი, კორპუსი 42, ბინა 56.

მეუღლე ედიკი გაბისკირია, მამიდა ვენია ესართია, დედამთილი ნინელი, მამამთილი მირო გაბისკირია, მულები: მანანა, მარინა, მაზლები: ხვიჩა, გელა გაბისკირიები, სიძეები: მამუკა შენგელია, ჯარნოზ კაკულია, ბიძები. ბიცოლები, დეიდები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ნინო ბუთხუზის ასული ესართია-გაბისკირია.**
პანაშვიდი 18, 19 აპრილს. დაკრძალვა 20 აპრილს ს. ანაკლიაში.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-19, რაიონთაშორისი 2-17-09

საქ. ბეჭდვისა ... ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2 28 07 ტირაჟი 8000 შეკ. №1400

ეროვნული ბიბლიოთეკა